[stamp]

წელიწადი პირველი. ფასი 5 კაპ. ოთხშაბათი, 12 აგვისტო 1915 წ. № 67

# საქართველო

ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე, საღამოს 5—7-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело", поч. ящикъ № 67.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 4 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე) ღირება 5 მანეთი.

## „საქართველოს" კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო" 1 აგვისტოდან წლის დამლევამდე ღირს 4 მან. 1 ოქტომბრამდე—2 მ. 25 კ., ერთი თვით—90 კ., ადრესის გამოცვლა—40 კ.

მოვაგონებთ „კლდის" იმ ხელის მომწერთ, ვისაც მთელი წლის ფული აქვს გადახდილი (5 მ.), რომ „საქართველო" გაეგზავნებათ მხოლოდ 1 ივლისამდე.

მისამართი: г. Тифлисъ, редакція „Сакартвело", Московская 4, поч. ящикъ 76.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვა.

## „ხარფუხის კლუბი"

პროგრამა 12—16 აგვისტომდე

საზაფხულო სადგომი, მიხეილის პროსპექტი, № 131.

ოთხშაბათს 12 აგვ. საოჯახო საღამო ქართული წარმოდგენა, მონაწილეობას იღებენ ქართული დრამატიული საზ. არტისტები. ბაღში დაუკრავს სამხედრო ორკესტრი, წარმოდგენაზე შესვლა უფასოა.

ხუთშაბათს 13 აგვ. საბავშვო საღამო სინემატოგრაფით. 9 საათ. დაუკრავს საზანდარი.

პარასკევს 14 აგვ. გასართობები არ იქნება დღესასწაულის გამო.

შაბათს 15 აგვ. საოჯახო საღამო ქართული ოპერეტკა შესვლა ოპერეტკაზე უფასოა.

კვირას 16 აგვ. კონცერტი ი. პ. სარაჯიშვილის და საიმპერატორო თეატრის არტისტის ი. ტომაშევიჩის და სხვათა მონაწილეობით.

სტუმრები იხდიან ჩვეულებრივ ფასს.

## ახალი სკოლა პანსიონით

გიმნაზიის პროგრამით

გაიხსნება საანბანო და მოსამზადებელი განყოფილებებით. ამზადებენ ბავშვებს ქართული გიმნაზიებისა, კერძო სკოლებისა და მთავრობის სასწავლებლებისათვის მეოთხე კლასამდე. დაწვრილებით ცნობების მიღება და ყმაწვილთა ჩაწერა შეიძლება საღამოს 4-დან 7 საათამდე, ოთხშაბათსა და ხუთშაბათს, მისამართი: მამადავითის ქუჩა, № 36, ბინა მარიამ ერისთავისა.

იმ საშინელ ცეცხლის გამო, რომელმაც იმსხვერპლა ქართული თეატრი და თავად-აზნაურობის სხვა შენობები, დროებით დაკეტილი

## „კაფე პარიზი"

გაიხსნა წინანდელ შენობაში, სასახლის ქ., თ.-აზნ. ქარვასლაში,

იგი გამშვენიერებული და გალამაზებულია სატახტო ქალაქების პირველ-ხარისხოვან სასადილო-რესტორანების სტილით.

ყოველ დღე გვაქვს ევროპული და ჩვენებური საჭმელები, რომლებიც ნამდვილ კარაქზე მზადდება გამოცდილ კულინარის ხელმძღვანელობით. სასადილო-რესტორანს აქვს მყუდრო ბაღი, სანარდე და საბილიარდო განყოფილება 4 ბილიარდით და 10 ნარდით. სხვა და სხვა ხილეულობის წყალი, ნაყინი, ღომი, საცივი და ყოველგვარი იმერული საჭმელები. თვიურ მოსადილეთ დიდი შეღავათი.

პატივისცემით დ. გიგიბერია.

## პირველხარისხოვანი სასადილო „კაფე ბორდო"

მიხეილის პროსპექტზე, № 18 და მიხეილის ქუჩაბანდი № 1.

ყავა, ყოველგვარი ცხელ-ცხელი საუზმე დილის 9 საათიდან 12 საათამდე. სადილი 1—6 საათამდე. სადილი 2, 3 და 4 თავიანი. აგრეთვე ჩვენებური საჭმელები: ხარჩო, ღომი, საცივი, ხაჭაპური, ნაყინი და სხვა და სხვა ხილის წყალი, ცხელი „პიროჟკები". თვიურად მოსადილეთ შეღავათი ეძლევათ. სადილს ვგზავნით ოჯახებშიც. სასადილო ღიაა დილის 8 საათიდან საღამოს 11 საათამდე.

პატივისცემით რაჟდენ იოსელიანი.

კბილის ექიმი

## ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

ქ. ბორჯ

## ექიმი ნ. მ. კლიმიაშვილი

იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.

აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

## კალანდარიშვილი

უფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე მანგლისში კადეტთა კორპუსის აგარაკში.

## გადაწერას საწერ მანქანის საშვალებით და საწერ მანქანაზე

მუშაობის სწავლებას

ხელმისაწდომ ფასებში ჰკისრულობს

## ი. თ. გვათუას კანტორა

ვერის დაღმართი № 1

ტელეფონი 17—05

# ომის დღიური

## მიმოხილვა

რიგის ყურეში მომხდარი ბრძოლის შედეგი და სურათი დღესაც გამოურკვეველია. მთავარი შტაბი იმეორებს, რომ მის მიერ მიღებულ ცნობით გერმანელებმა დაჰკარგეს არა ნაკლებ 8 ნაღმოსნისა და 3 კრეისერისა, ხოლო გერმანიის შტაბის ცნობით დაზიანდა 3 ნაღმოსანი. რიგის მიდამოებსა და დვინის დასავლეთით ცვლილება არ მომხდარა. კოვნოს რაიონში მოპირდაპირე ისევ მოიწევს ვილნოსკენ, თან შუა ნემანი გადმოულახავს და მის მარჯვენა ნაპირზე გადმოსულა.

მეტად მნიშვნელოვანია ცნობა შესახებ „იმისა, რომ გერმანელებს ბელსკიდან აღმოსავლეთისკენ მოაქვთ იერიშებიო, ხოლო ვლოდავიდან წინ მოიწევენ ბრესტისკენ და კოველისკენ. ეს არის დასაწყისი იმ გეგმის განხორციელებისა, რომელსაც აგვიწერდნენ ამ ცოტა ხანებში გერმანული გაზეთები. საქმე ის არის, რომ ბრესტის მიდამოებში იწყება განთქმული პინსკის ჭაობები, რომელიც აღმოსავლეთისკენ 500 ვერსის ძანძილზეა გადაჭიმული. ამ ჭაობებში ჯარის გაშლა და რაიმე სამხედრო ოპერაცია შეუძლებელია. გერმანელები ოცნებობენ რუსის ჯარი ბრესტისა და ბელოსტოკის შუა ორად გააპონ და ერთი წილი პინსკის ჭაობებში შერეკონ.

მ. ბ—ლი.

## დეპეშები

თბილისი, 10 აგვ. კავკასიის ჯარის შტაბისაგან. 8 აგვისტოს ზღვის პირის რაიონში რუსების მზვერავები მარჯვედ მოქმედებდნენ. ოლთისის მიმართულებით, არკინს-ანდაგის რაიონში ოსმალებმა თოფ-ზარბაზანი დაუშინეს რუსების პოზიციებს. პასინის ველზე ოსმალებმა იერიში მიიტანეს მის მიდამოების ზოგიერთ ადგილებზე, მაგრამ უკუგდებულ იქნენ დიდის ზარალით. მოგერებულ იქნა აგრეთვე ოსმალთა შემოტევა აიდარკომ-მირზა-ალას ფრონტზე. დანარჩენ ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

პეტროგრადი, 10 აგვ. ოფიციალი. უკანასკნელ ოპერაციის დროს რიგის ყურეში, როგორც ცნობები მოდის, გერმანელებს დაელუპათ ერთი მძიმე და ორი მსუბუქი კრეისერი, აგრეთვე რვა ნაღმოსნამდე დაუზიანდა.

ხმელეთით რიგის რაიონში და იაკობშტადტისა და დვინის მიმართულებით მდგომარეობა არ შეცვლილა. სვენტზე, აგრედვე ვილია-ნემანის შუა 8—9 აგვ. განმავლობაში რუსები იკავებდნენ გერმანელთა იერიშებს კოვარსკისა, ვილომირ-კოშედარ-დრსუნიშვით. ნემანის მარცხენა ნაპირზე ზოგიერთ ადგილას რუსის ჯარები მარჯვენა ნაპირზე გადავიდნენ. ბობრისა და ბრესტის რაიონში რუსის ჯარები ერთ ნაბიჯსაც არ უთმობენ უბრძოლველად. 8—9 აგვ. გერმანელებმა განსაკუთრებით მკაცრი იერიშები მოიტანეს ბობრის ქვემო ნაწილზე, შაფრანკის რაიონში, ბელსკის რაიონიდან აღმოსავლეთით და კლეშელი-ვისოკო-ლიტოვსკის ფრონტზე. ბუგის მარჯვენა ნაპირზე ვლოდავას აღმოსავლეთით გერმანელთა მთავარი ძალები მოდიან ტბების რაიონით პიშჩის მხარეზე. საღამოთი გერმანელები სცდილობდნენ იერიშით შემოეტიათ კოველის ფრონტზე. გალიციაში ცვლილება არ მომხდარა.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**დასავლეთ ასპარეზისათვის მზადება.**

ჰააგიდან მიღებულ ცნობების მიხედვით გერმანელებს სულ ახალ-ახალი ჯარები გადაჰყავთ დასავლეთ ასპარეზისაკენ და დიდძალ მძიმე არტილერიას აგროვებენ. როგორცა სჩანს გენერალ შტაბი ახალი გეგმა შეიმუშავა დასავლეთისკენ გასალაშქრებლად. თუმცა სასტიკად არის აღკრძალული სამხედრო მოქმედების შესახებ ლაპარაკი. გერმანელი ოფიცრები მაინც იკვეხიან, რომ მომავალი თავდასხმა გერმანელებს გამარჯვებას მიანიჭებსო. უკანასკნელ ხანებში გერმანელებმა მრავალ ახალ სამხედრო საშუალებას მიჰმართეს. დასავლეთს ფლანდრიაში ნამეტანი ხშირი ტელეფონების მავთულებით დაჰქსელეს ბრძოლის ასპარეზი, ააშენეს ტყვია-წამლის და საინტენდანტო ახალი საწყობები. ბელგიაში დარწმუნებულნი არიან, რომ ეს თავდასხმა ახლო მომავლის საკითხიაო. ბ. ვ.

**ლიბკნეხტი და რაიხსტაგის ს.-დ-ბი.**

კოპენჰაგენიდან მიღებულ ცნობების მიხედვით, რაიხსტაგის დეპუტატ ლიბკნეხტი ბრძოლის ველიდან შეჰკითხებია რაიხსკანცლერს: თანახმაა თუ არა მთავრობა უანექსიოთ ზავის შესახებ მოლაპარაკების გამართვისა. ამ შეკითხვამ დიდი აღელვება გამოიწვია სოციალ-დემოკრატების ფრაქციაში. ფრაქციის მემარჯვენენი, რომელნიც ანექსიის მომხრენი არიან, პირდაპირ პასუხს არ იძლევიან და იმ აზრს გამოსთქვამენ, რომ აუცილებელი საჭიროება მოითხოვს მთავრობასთან ხელი-ხელთ მსვლელობასაო. ფრაქციის უმრავლესობა უეჭველად ეცდება შეკითხვას შემდეგი მსვლელობა არ მიეცეს.

**სტუდენტთა რიცხვი გერმანეთში.**

გერმანულ გაზეთების ცნობით ზაფხულის სემესტრში გერმანეთის ყველა უნივერსიტეტებში ერთად ყოფილა 12,600 ვაჟი და 4,350 ქალი სტუდენტი. შარშან ამავე დროს კი 57,000 ვაჟი და 4,250 ქალი სტუდენტი ითვლებოდა. (ბ. ვ.)

**გერმანული გაზეთები აფრთხილებენ**

„ლოკალ ანცაიგერი" სასტიკად ეწინააღმდეგება მათ, ვინც ნამეტანად აზვიადებს გერმანულ ჯარების მნიშვნელობას. ომის მიზანი მოპირდაპირის დიდ ან პატარა ადგილის დაჭერა კი არ არის, არამედ მტრის ჯარის მოსპობა. ყველაზედ დიდი მნიშვნელობა ვარშავის დაჭერას პოლიტიკურადა აქვს და ჩვენზედ არის დამოკიდებული ამ პოლიტიკურ უპირატესობის განაღდება.

მეორე მხრით ის მნიშვნელობა აქვს ვარშავის აღებას, რომ მტერი იძულებული ხდება სცნოს ჩვენი სამხედრო ძლიერება, რომელმაც 200 ათას კვადრატ კილომეტრზედ მეტი მტრის ადგილები ჩაგვაგდებინა ხელში. (ბ. ვ.)

**ვარშავაში.**

უნგრეთის მწერალი ფრანც მოლნარი სწერს ბუდაპესტის გაზეთს: პრაგის რკინის გზის სადგური და ყველა მახლობლად აგებული რკინის გზის შენობანი ზოგი გადამწვარია და ზოგი ყუმბარებისგან დაქცეული, უკანასკნელ წუთებში როდესაც რუსები სცლიდნენ ქალაქსა და გერმანელები შიგ შედიოდნენ, ქუჩებში ბრძოლის დროს მოჰკლეს 15 და დასჭრეს 2000 მეტი მოქალაქე. ყველაზედ მეტი რიცხვი დაჭრილთა ებრაელთა უბანში აღმოჩნდა. ის ქარხნები, რომელთაც კი როგორმე შეეძლებოდათ სამხედრო სურსათის დამზადება, ყველა გამოუნაკლისად განადგურებული და მოსპობილია.

ცნობილმა პოლიტიკოს გერმანოფილმა პეტრე ფარპმა განუცხადა პროფესორ სტერეს, რომ ოთხთა კავშირის წინააღმდეგ აგიტაცია უნაყოფო არის, რადგან რუმინეთის გამოსვლა ცენტრალ სახელმწიფოთა წინააღმდეგ გარდაწყვეტილი არისო. რუმინეთისგან აკრძალვა გერმანეთის კონტრაბანდისა იმის მომასწავებელია, რომ რუმინეთს გარდაწყვეტილი აქვს ავსტრო-ჰუნგრეთს ომი გამოუცხადოსო.

**ეროვნულ თავდაცვის სამინისტრო.**

სახ.-სათათბიროს დეპუტატთა შორის აღძრულია საკითხი ეროვნულ თავდაცვის სამინისტროს დაარსების შესახებ. ეს ამბავი დიდს თანაგრძნობას იწვევს თითქმის ყველა ფრაქციაში.

**სამრეწველო კომიტეტის მოქმედება.**

„რან. უტ."-ს საანკეტო წერილში რიაბუშინსკი სწერს: მრეწველობა ეჯახება უსაჭირო ფორმალობას. ჩვენ ბევრს ძალასა ვკარგავთ დაბრკოლებათა დასათრგუნავად. საჭიროა ავტორიტეტული ძალა და განსაკუთრებული ზომები ეხლავე. მდგომარეობა ძალიან სერიოზულიაო.

**ჰამბურგ-ბერლინ-ვარშავა.**

სტოკჰოლმიდან მიღებულ ცნობის მიხედვით პირდაპირი რკინის-გზის მიმოსვლაა გახსნილი ჰამბურგსა, ბერლინსა და ვარშავის შორის.

**აყრილნი პოლონელნი.**

პოლონელთა ყრილობაზედ ულაპარაკია გრაბსკის და საშინელ შემაძრწუნებელ სურათებით დაუხატნია პოლონელ გლეხთა გადასახლება: „ამ გადასახლებამ ბოროტად იმოქმედა პოლონელებზედ არა მხოლოდ ფიზიკურად არამედ სულიერადაც. იხრწნება სიყვარული საერთო მოქმედებისადმი და ყოველი მხოლოდ თავის კერძოზედ—იღბალზედ-ღა ზრუნავს. წავიდა ჯანმრთელი, ძლიერი ხალხი. დაბრუნდება სულით და ხორცით დაავადმყოფებული. ქონებრივი დახმარება სახელმწიფომ უნდა აღმოუჩინოს. ზნეობრივი დახმარება კი—პოლონელთა საზოგადოებამ. პროვინციის წარმომადგენელნი აღნიშნავენ, რომ ადგილობრივი მკვიდრნი მეგობრულ სიყვარულით და კეთილ განწყობილებით არ უხვდებიან გამოქცეულთ, უწევენ სტუმრებისა ეშინიათ, არა სჯერათ, რომ ისინი ძალით არიან აყრილნი, ჰგონიათ შიშმა გადმოხვეწა იგინი". გაისმის ხმები: აყრილნი პოლონელნი ტურუხანის მხარეში უნდა გაიგზავნენო.

**რეიხსტაგმა 10 მილიარდი გაიღო ომისთვის.**

ბერლინიდან მიღებულ ცნობების მიხედვით, რეიხსტაგმა დაადასტურა 10 მილიარდი სამხედრო სესხი. წინააღმდეგი იყო მხოლოდ ლიბკნეხტი. მემარჯვენენი ჰყვიროდნენ: ვაშა, ესდეკები კარგი პატრიოტები ხართ, მხოლოდ პირი დაიცეთ! ლიბკნეხტმა შეკითხვა შეიტანა ზავის პირობების შესახებ. მას ლაპარაკი სურდა, მაგრამ მემარჯვენებმა არ აცალეს. ს.-დ.-ბის ფრაქციამ გაკიცხვა გამოუცხადა ლიბკნეხტს შეკითხვის გამო.

**რიგა.**

ქალაქში დარჩენილ მცხოვრებთა რიცხვი მაინც კიდევ 300 ათასამდე აღწევს. მთელი ეს ხალხი თავმოყრილია ქალაქის შუა გულში, რომელიც მდ. დვინის მარჯვენა ნაპირას მდებარეობს. განაპირა ადგილები ტორენსბერგი, ძაგენსბერგი და სხვა, რომლებიც მდინარის მარცხენა ნაპირს მდებარეობენ, თითქმის სავსებით დაცარიელებულია. გერმანელების „ცეპელინები" და „მტრედები" მოდიან ხოლმე ტუკუმის მხრიდან (აქაურ ცნო-

ბების მიხედვით მათი სადგური იმყოფება ტუკუმის მახლობლად „ბუმბერაზ მთა“-ზე) და ყველაზედ ხშირად ბოლრაას ესტუმრებიან ხოლმე. გერმანელთა მფრინავები ძალიან მაღლა დაჰფრენენ, ისე რომ მათ არტილერია ვერა სწვდება, მაგრამ ამისდა მიუხედავად უკანასკნელ დღეებში ერთი მათგანი მაინც დაიღუპა. (ბირ. ვედ).

**გაქცეული ლატიშები.**

რუსეთის შიდა გუბერნიებში ერთმანეთში ურევს და ვერ არჩევს გამოქცეულ ლატიშებს ძალით აყრილ გერმანელ კოლონისტებისაგან. ხარკოვში, მაგალითად, ადგილობრივ ტატიტინის კომიტეტში ვითომ პეტროგრადიდან ბრძანების მიხედვით ყოველნაირ დახმარებას უარი უთხრეს გამოქცეულ ლატიშებს: „თქვენც იგივე გერმანელები ხართო“, ეუბნებოდნენ. კიდევ უარეს მდგომარეობას განიცდიან მიტავიდან 250 გამოქცეული ლატიშები ტულაში: ისინი გერმანელებთან ერთად გაჰგზავნეს ტაშკენტში, როგორც ადმინისტრატიულად გადასახლებულნი. ლატიშები სთხოვდნენ ნიჟნი-ნოვგოროდში გაგზავნას, სადაც მათ სამუშაოს შოვნა შეეძლებოდათ, მაგრამ მათი თხოვნა უშედეგოთ დარჩა. ლატიშები დახმარებასა სთხოვენ სახ. სათათბიროს დეპუტატებს. (ბირ. ვედ.).

# წერილები პარიზიდან

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

წერილი ე.

**ფრანგების სოციალისტები და ომი.**

14 (1) მკათათვეს, როცა საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ინვალიდში რუჟე-დე-ლილის ნეშტის გადმოსვენების გამო მხურვალე სიტყვით მიმართა საფრანგეთის ერს და ყველას მოუწოდა მამულის წინაშე წმიდა მოვალეობის გადასახდელათ, საფრანგეთის სოციალისტთა პარტიის ნაციონალი კრება იყო გამართული პარიზში. კრებამ, რომელსაც სოციალისტი მინისტრებიც დაესწრნენ, განიხილა ეხლანდელი მდგომარეობა ევროპისა, გერმანელთა შემოსევით შექმნილი და აღნიშნა, რომ ამ საზარელ ომის ასაცდენათ პარტიას ცდა არ დაუზოგია, სულითა და გულით მოწადინებული იყო თავისი გავლენა ეხმარა, რომ მშვიდობიანობა არ დარღვეულიყო, სახელმწიფოთა შორის თუ რომ უთანხმოება იყო, მორიგებით გათავებულიყო და მაინც, თუ ომი ატყდა, ჩვენის სურვილის წინააღმდეგ, ომი ასტეხა გერმანელთა მილიტარიზმმაო. კრებამ ერთხმად დაადგინა: მშვიდობიანობა, საიმედო მშვიდობიანობა მაშინღა დამყარდება, როცა ამ მშვიდობიანობას საძირკვლად დაედება:

„1⁰ პრინციპი ეროვნებათა, რომელიც გულისხმობს უარყოფას ყოველგვარ პოლიტიკას სხვათა მიწა-წყალის შემოერთებისას, და ამასთანავე, ამავე პრინციპის ძალით ევროპაში ყოველ დამონებულ ეროვნებას უნდა დაუბრუნდეს უფლება თავისთავის მოვლისა და შემოუერთდეს კვლავ იმ ერს, რომელსაც ძალით ჩამოაცალეს.

„2⁰ აბსოლუტური ხელშეუხებლობა ამა თუ იმ ერის პოლიტიკურ და ეკონომიურ დამოუკიდებლობისა.

„3⁰ შემოღება ხალხთა შორის სავალდებულო სამედიატორო სასამართლოსი; ამ სასამართლომ თან უნდა შეზღუდოს შეიარაღება და თან თვალყური ადევნოს, რომ ამა თუ იმ მთავრობამ პირნათლად შეასრულოს თავისნი პირობანი; ამ სასამართლომვე უნდა დააწესოს საერთაშორისო ძალა ამა თუ იმ კითხვის დასტურისათვის.

მაგრამ თუ გვსურს ამ რეზულტატს მივაღწიოთ და ვიხსნათ ქვეყნიერობა ამა თუ იმ მოუხეშავ, ომს მოწყურებულ იმპერიალიზმის კლანჭებისაგან, საჭიროაო,—ადგენს კრება,—სოციალისტური პარტია მხარში ამოუდგეს შეუდრეკელად, უოჩანოთ სამშობლოს დაცვის საქმეს.

„ყველამ ვიცით, რამდენი გლოვა, რამდენი მწუხარება წარმოშვა ომმა. აწინდელს მწუხარებას, და აგრეთვე მოსალოდნელ მწუხარებასაც მაშინ ღა მოეღება ბოლო, როცა გერმანელთა იმპერიალიზმი მიწაზე იქმნება გართხმული.

„სოციალისტები საფრანგეთის სხვა შვილებს და მისთა მოკავშირეთ მხარში უნდა ამოუდგნენ და ეცადნენ გაანთავისუფლონ კეთილშობილ და გმირ ბელგიელთა მიწა-წყალი, გაანთავისუფლონ აგრეთვე მტრის მიერ დაჭერილი ადგილები საფრანგეთისა, ელზას-ლორენი კვლავ შემოუერთონ საფრანგეთს.

ამისთვისო,—აცხადებენ ფრანგი სოციალისტები,—მოვუწოდებთ ყველას: ჯარისკაცთ, ოფიცრებს, მთავრობას, ვიმუშავოთ ერთსულოვნათ, ერთობრივათ.—საფრანგეთის სოციალისტური პარტია მთელის ქვეყნიერობის სოციალისტების წინაშე აცხადებს, რომ საფრანგეთის მიზეზით არ ატეხილა ეს ომი, რომელმაც მთელი ევროპა ჩაითრია რომ თუ საფრანგეთიც ჩაერია ამ ომში, ჩაერია იმიტომ, რომ იძულებულ ჰყვეს, ჩაერია იმიტომ, რომ თავი დაეცვა გერმანელთა იმპერიალიზმის წინადგანზრახულ და დამზადებულ შემოსევისაგან; ამ იმპერიალიზმმა, როგორც ვიცით, გულნადების განსახორციელებლათ, ფეხქვეშ გათელა ნეიტრალიტეტი ბელგიისა, საერთაშორისო ხელშეკრულობის ძალით უზრუნველყოფილი.

„პარტია აცხადებს, რომ ომი, რომელშიაც გერმანიის მთავრობის მეთაურებმა მოკავშირენი ჩაითრია, თვის ლოგიკურ ბოლომდე უნდა იქმნას მიყვანილი, ე. ი. იქამდე, სანამ დაითურგნებოდეს გერმანელთა მილიტარიზმი და სანამ ამით ქვეყნიერობას არ დაანახვებენ, თუ როგორ სძლია თავისუფალ ერთა წინააღმდეგობამ სხვაზე გაბატონების სურვილი გერმანელთა. ამ ომმა,—რომელიც უნდა იქმნებ პირველი და უკანასკნელიც,—უნდა წარმოშვას ახალი ევროპა, დამყარებული ხელშეკრულობათა და ეროვნებათა დამოუკიდებლობის პატივცემაზე; მაშინ ხალხთ, რაკი დაიბრუნებენ უფლებას თავისთავის მოვლისას, შეეძლებათ კისრიდან გადაიგდონ მძიმე და გამდრეკი უღელი მილიტარიზმისა.

„პარტია ჰგმობს ამავე დროს სხვათა დაპყრობის პოლიტიკას, მომხრეა იმის დაბრუნებისა, რაც კანონიერათ ერს ეკუთვნოდა და აგრეთვე მისის მხრით ოჩნობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს, თუ მის მამულს მტერი შემოესია,

„პარტია ხელახლა ადასტურებს იმ გზას, რომელსაც ომის დაწყებისას დაადგა მუდმივი საადმინისტრაციო კომისია და სოციალისტთა ჯგუფი პარლამენტისა და ორსავე სრულის უფლებით ჰმოსავს ამავე გზით შეუდრეკლათ და უკანდაუხეველათ განაგრძონ დაწყებული საქმე ეროვნულ დაცვისა“.

მკითხველი ადვილათ წარმოიდგენს იმ საერთო აღტაცებას, რომელიც ფრანგ სოციალისტთა პარტიის რეზოლიუციამ გამოიწვია მთელს საფრანგეთში. პარტიის ამ პატრიოტულმა აქტმა ყველას გაუცხოველა იმედი მომავალის გამარჯვებისა, მომავალის მშვიდობიანობისა ამ რეზოლიუციამ ერთხელ კიდევ განფანტა ის ქიმერული აზრი, რომ სოციალისტს ვითომ „სამშობლო არა ჰქონდეს“. თვისის რეზოლიუციით ფრანგმა სოციალისტებმა ნათლათ უპასუხეს გერმანელ სოციალ-დემოკრატიას: თქვენს წინადადებას ზავის შესახებ მეცადინეობისათვის ვერ მივიღებთ, ვერ მივიღებთ მიუღებელს მანამდე, სანამ მამული განსაცდელში იქმნებაო. და ჩვენის ქვეყნის განსაცდელში თქვენც გიდევსთ წილი იმით, რომ გერმანიის მილიტარიზმს ხელს უწყობდითო (სამხედრო ბიუჯეტის მიღება ერთხმად რეიხსტაგში). ვინც ფრანგ სოციალისტების შესახებ ამბობდა, „სამშობლო არა აქვსთო“, ამ რეზოლიუციით ფრანგმა-სოციალისტებმა საუკეთესო პასუხი გასცეს: სამშობლო გვაქვს და მისთვის უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძვითო. როდესაც პუანკარე ინვალიდებში ამბობდა: „მთელი სამშობლო თავისს მოვალეობას ასრულებსო“, ფრანგი სოციალისტები თავიანთს საპარტიო კრებაზე პასუხად ეუბნებოდნენ: „სოციალისტები ყველა წოდებასთან შეერთებულნი ვიბრძვით სამშობლოს მტრის მოსაგერებლათო“.

თ. სახოკია.

პარიზი, 16 (3) მკათათვე.

# დეპეშა

დეპუტატი აკაკი ჩხენკელისგან „საქართველომ“ მიიღო ასლი დეპეშისა, რომელიც მან გამოუგზავნა სრულიად საქართველოს ეგზარხოსს პიტირიმს:

**პეტროგრადი, 10 აგვისტო. სახელმწიფო სათათბიროს საჩქარო მოწვევამ, საუბედუროდ, საშუალება არ მომცა თქვენი ყოვლად უსამღვდელოესობა მენახა ილორის ეკლესიის რუსულ დედათა მონასტრად გადაქცევის თაობაზე, რაიც დაკავშირებულია ქართველი ერისაგან ძვირფას წარსულის ძეგლთა დაკარგვასთან. სოხუმის არქიელმა გადაიყვანა ილორის წინამძღვარი მაჯგალაძე სხვა სამრევლოში, რადგან არ თანაუგრძნობდა ეკლესიის გადაგვარების საქმეს. მიმაჩნია რა მაჯგალაძეს აზრი ერთად-ერთ სამართლიან პოზიციად და ღირსშესანიშნავად რუსის და ქართველი ერის ძმობისა, ნებას ვაძლევ ჩემ თავს ენერგიულად დავუჭირო მხარი მის თხოვნას და ვიდრე სინოდალი კანტორა გასინჯავდეს საქმეს შეაჩეროთ მაჯგალაძეს გადაყვანა.**

**სახელმწიფო სათათბიროს წევრი**

**ჩხენკელი.**

# ახალი ამბავი

◆ **თათბირი პოლიტეხნიკუმის შესახებ.** 10 აგვისტოს, ხმოსნის თავ. გ. მ. თუმანოვის წინადადებით, კერძო თათბირი ჰქონდათ ქალაქის გამგეობას და ხმოსნებს. თავმჯდომარეობდა თავ. ა. მ. არლუთინსკი. კრებაზე მიწვეული იყო პროფესორი ი. ს. ლამბაროვი თათბირის საგანს შეადგენდა საკითხი შესახებ ვარშავის პოლიტეხნიკუმის გადმოტანისა თბილისში. წაკითხულ იქმნა ამ საგნის შესახებ მოხსენება თავ. გ. მ. თუმანოვისა, შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს პროფესორმა ლამბაროვმა და ხმოსნებმა ბაზოვმა, ვესელოვზოროვმა, ხარაზიანმა, ლუნკევიჩმა და სხ. ყველანი მომხრე იყვნენ იმისა, რომ ქალაქის თვითმართველობამ დაუყოვნებლივ აღძრას შუამდგომლობა, რათა ვარშავის პოლიტეხნიკუმი გადმოტანილ იქმნას თბილისში. წინააღმდეგი იყო მხოლოდ ერთი ხმ. ბ-ნი ხარაზიანი, რომელიც ამტკიცებდა, რომ ეხლანდელი დრო შეუფერებელია ასეთი მცირემნიშვნელოვანი საგნებისათვისო. ბოლოს კრებამ დიდძალ ხმის უმეტესობით დაადგინა ეთხოვოს მეფის მოადგილეს, იშუამდგომლოს უმაღლეს მთავრობის წინაშე, რომ გადმოტანილ იქმნას თბილისში ვარშავის პოლიტეხნიკუმი. ამასთან ერთად თათბირმა საჭიროდ სცნო შუამდგომლობა აღიძრას, რომ კანონპროექტი თბილისის პოლიტეხნიკუმის შესახებ დაუყონებლივ იქნეს განხილულ საკანონმდებლო დაწესებულებაში.

◆ ვაჟა-ფშაველას გარდაცვალების გამო სამძიმრის დეპეშები მოვიდა გუდაუთის საზოგადოებისაგან და ქვემო სურების (გურია) მცხოვრებთაგან.

◆ **საბჭოს კრება.** ხვალ, 13 აგვისტოს, საღამოს 8 საათზე, უნდა შესდგეს საგანგებო კრება თბილისის საბჭოს ხმოსანთა. განსახილველია შემდეგი საგნები: 1) მოხსენება ქალაქის გამგეობისა შესახებ ღონისძიებისა ხოლერის გავრცელების წინააღმდეგ; 2) წინადადება ხმ. თავ. გ. მ. თუმანოვისა, შუამდგომლობა იქნას აღძრული შესახებ ვარშავის პოლიტეხნიკუმის გადმოტანისა თბილისში და 3) წარმომადგენლების არჩევა ქალაქის სამხედრო გადასახადთა საკრებულოში.

◆ **გამოქცეულ სომხების სასარგებლოდ.** ბრიტანიის გენერ.-კონსულმა 5,678 მან. გამოგზავნა მოსკოვიდან თბილისს გამოქცეულ სომხების სასარგებლოდ. ეს ფული შეუგროვებია ლონდონში მცხოვრებ სომხებს. თბილისიდან ეს ფული გაგზავნეს ქალაქ ვანს იქაურ სომხის ეპისკოპოზისა და გუბერნატორის სახელზე.

◆ **ტალახიანი წყალი.** მიხეილის ქუჩაზე გამოყვანილია, ეგრედ წოდებული, ნემეცების არხი. 10 ივლისს მიხეილისა და კირკის ქუჩების შესართავთან ამ არხიდან ტალახიანმა წყალმა ამოხეთქა და იქაურობა მოსვარა. ქალაქის ინჟინერმა თავ. ლ. ნ. დიასამიძემ ამის გამო ბევრი ურეკა ტელეფონით წყლის გამგეობას, მაგრამ ვერას გახდა.

◆ **გადამდები სენი.** 11 აგვისტოს ქალაქის თავშესაფარში იმყოფებოდნენ: ქუნთრუშიანი 31, ხუნაგიანი 14, ყვავილიანი 2, საოფლიანი 14 მუცელაიანი 5 კაცი და შავი სახადიანი 16 კაცი.

◆ **ხოლერა.** 11 აგვისტოს ქალაქის ლაზარეთში მიიყვანეს 4 ხოლერიანი და 1 ხოლერის ნიშნებით, 2 კაცი გარდაიცვალა; 11 აგვისტოს საავადმყოფოში იმყოფებოდნენ 58 ხოლერიანი და 12 კაცი ხოლერის ნიშნებით.

◆ **სანიტარული დათვალიერება.** 10 აგვისტოს სანიტარულმა კომისიამ დაათვალიერა მუშტაიდის შესახვევში სანოვაგისა და ხილის სავაჭრო სახლები. ბევრგან აღმოჩნდა დამპალი და დაუმწიფებელი ხილი, სხვათაშორის 500 ფუთი საზამთრო, რომელიც კომისიამ მოსპო.

◆ **მომხმარებელი საზოგადოება.** გ. გ. ადელხანოვის ტყავის ქარხანაში მომუშავეთ ბ-ნმა თბილისის გუბერნატორმა ნება დართო დააარსონ მომხმარებელი ამხანაგობა. დროებითი გამგეობა ამ დღეებში აპირობს ამხანაგობის დამფუძნებელ წევრთა მოწვევას გამგეობისა და სარევიზიო კომისიის ასარჩევად და სამოქმედო პროგრამის შესამუშავებლად.

# ტრაღიკული დღეები

VIII

(დასასრული).

ბერლინის საზოგადოება დიდის ინტერესით ადევნებდა თვალ-ყურს კრიზისის მიმდინარეობას; ხოლო არავითარი გარეგანი პატრიოტული ენტუზიაზმი არ ეტყობოდა. ამ ზაფხულის მშვენიერმა დღეებმა ისე მშვიდობიანად ჩაიარეს, როგორც ჩვეულებრივ. საღამოობით მხოლოდ რამოდენიმე ასი ყმაწვილი თავს იყრიდა ცენტრის ქუჩებზე და მღეროდენ სერიოზულის სახით სახალხო ჰიმნებს. „ჰოხ-ჰოხის“ ყვირილის შემდეგ კანცლერის სასახლისა, ავსტრია-უნგრეთისა და იტალიის საელჩოს წინ, ნელნელა დაიშლებოდნენ. ორს აგვისტოს ერთგვარი ფუსფუსი და გაცხოველება ეტყობოდა სადღესასწაულოდ მორთულ საზოგადოებას, რომელსაც აევსო მთელი კურფურსტენდამის ხეივანი. იგი ერთობოდა გულდასმით გაზეთების საგანგებო გამოცემათა კითხვაში; შემდეგ ყველა თვის საზაფხულო ჩვეულებრივ გასართობს უბრუნდებოდა. ახალგაზდა ქალვაჟიდან ვინ ტენისს შეექცეოდა და ვინ კიდევ რას. ბურჟუები ოჯახებითურთ კი ლუდის გაუთავებელ სმას. როდესაც იმპერატორის ავტომობილმა „ლინდენს“ ჩაუქროლა, მას მიესალმენ ხშირის და არა აღტაცებულის “გაუმარჯოს“ ძახილით. საჭირო შეიქნა პრესას აღეძვრა საზოგადოება რუსეთის წინააღმდეგ, რომელიც ომის გამოწვევის მიზეზათ იყო დასახელებული. საჭირო შეიქმნა ყალბი სიტყვები იმპერატორისა და კანცლერისა და მთავრობის შეხანხლული ფურცლების გამოცემა, რომ აღეგზნოთ პატრიოტიზმი, რომელიც მძიმე-მძიმედ იღვიძებდა. ეს პატრიოტიზმი პირველად იმაში გამოიხატა, რომ ქუჩაში მიმავალ საბრალო რუსებს, რომლებიც თავის ქვეყანაში მიეშურებოდენ, ლანძღვით ისტუმრებდენ და იმაშიც, რომ რუსეთის მეფის საელჩოს წევრებს შეურაცხყოფა მიაყენეს, რაწამს იმათ ბერლინი დასტოვეს. რასაკვირველია, ძნელი საქმე არ იყო ბრბოს გაბიაბრუება, რომელსაც რუსეთის პასიფისტური მიდრეკილებისა არა გაეგებოდა რა. ხოლო ვერ გაგვეგო როგორ უნდა დაებრიყვებინა ოფიციალ ხრიკებსა და ტყუილებს უფრო გაგებული და მაღალ წრის ხალხი. ამათ ხომ ისევე კარგად მოეხსენებოდათ, როგორც ჩვენ, რომ მეფის მთავრობა დაინტერესებული არ იყო ომის გამოწვევაში. ამის თაობაზე კამათი ნამდვილი ბავშობა იქნებოდა. კიდევ ვიტყვით, რომ სერბიის საქციელი ვილჰელმისა და მის გენერლების თვალში ჩრდილოეთის იმპერიისათვის დაგებული მახე იყო, რომ იგი იმპერია უფრო ადრე მორეგვილიყო, ვიდრე მისი სამხედრო ძლიერება და სამზადისი განსრულებულ-მოთავებული იქნებოდა. დადარდიანებული ვეკითხებოდით ერთმანერთს, თუ ბრიტანიის მთავრობის კატეგორიული განცხადება, რომ იგი ვერ დარჩებოდა ბრძოლის ასპარეზის გარეშე, არ შეაჩერებდა გერმანეთს; ამას ვეკითხებოდით ერთმანეთს, რადგანაც კარგად ვუწყოდით, რომ ნამდვილი უცოდინარობა იმისა, თუ როგორ მოიქცეოდა ინგლისი, სიმხნევესა და გაბედულობას მატებდა გერმანიას. ერთ წუთს იმედმაც კი გაგვიელვა, რომ ედ. გრეი გაჰფანტავდა ილიუზიებს, რომლებითაც სავსე იბრუებდა ხოლმე გერმანელი ხალხი. მართლაც, ღრმად საპატიო სახელმწიფოს მდივანმა 29 ივლისს უთხრა პრინც ლიხნოვსკის, რომ ავსტრია-სერბიის საკითხი ისე ფართეთ შეიძლებოდა გაშლილიყო, რომ მთელი ევროპის ინტერესი იქ მოყოლოდა და თანაც გააფრთხილა, რომ მათ შორის გამართული საუბრის მეგობრული კილო ისე არ გაეგო, თითქოს ინგლისი არ ჩაერეოდეს საერთო მოქმედებაში. ინგლისს რომ იმ ოავითვე დაეჭირა გარკვეული პოზიცია და ორთა კავშირის მხარეზე აშკარად დამდგარიყო, უეჭველია ამ ატეხილ დავას ფატალურ დასკვნამდე არ მიიყვანდა. ასეთი აზრი მეფობდა გაგებული წრეებში, რადგანაც საზღვაო ფორმულა არ შედიოდა არც იმპერატორისა და არც ადმირალი ტირპიცის გეგმაში; საზღვაო ბრძოლა ნამდვილი მაჯლაჯუნა იქნებოდა გეერმანიის ვაჭრობისათვის. ხოლო 29 ივლისის თარიღით, ინგლისის ახდილი მუქარა, და ბრიტანიის ლომის ღმუილი, ჩემის აზრით, შედევს ვერ მოიღებდა და ვილჰელმ მეორეს თვის განზრახვაზედ ამიერიდგან ხელს ვერ ააღებინებდა. აგადირის ინციდენტის ხსოვნა ერთობ ცხოველი და მწველი რამ იყო გერმანიის თავმოყვარეობისათვის. იმპერატორი ერიდებოდა დაეკარგა პირადი პრესტიჟი თავის ქვეშევრდომთა ერთი ნაწის თვალში, თუ რომ, აქაო და ინგლისი ბრძანებსო, ხელს აიღებდა უკვე მიღებულ გადაწყვეტილებაზე და ნაბიჯს შეიკავებდა. ასეთი მოქმედებით იმპერატორი ნდობასა და საბუთს შემატებდა მისდამი მომართულ საყვედურებს, რომ იგი დაშინებისა და ფახის პოლიტიკას აწარმოებდა და სხვა არაფერს. გერმანია ყეფს და არ იკბინებაო, ამბობდენ უცხოეთში და ეს თქმა საკმარისი იყო რომ იგი მოთმინებიდან გამოსულიყო. ედუარდ გრეის დაგვიანებულ გაფრთხილებას, აღნიშნულ პირობებში, მხოლოდ დაჩქარება შეეძლო კაიზერის ჯარების შემოტევის, რათა ინგლისის ჯარისა და ფლოტის ჩარევა უშედეგო დარჩენილიყო ომისთვის, რომელიც, ბერლინში ასე ფიქრობდენ, სწრაფი და მალი იქნებოდა.

დეპეშებიდან და თვით ბრიტანიის სახელმწიფოს მდივნის სიტყვებიდან ნათლად მოსჩანს, თუ რაოდენი მორიდებითა დ კრძალვით უნდა მოჰკიდებოდა ქვეყნისა და პარლამენტის უმრავლესობის აზრის ბ-ნი ედ. გრეი. ინგლისის ხალხს არ აინტერესებდა ბალკანეთის ომი. ხოლო სრულიად გულგრილად შესცქეროდა ტევტონისა და სლავის ჩხუბს. ინგლისის ხალხმა მაშინ დაიწყო ნამდვილი ღელვა, როდესაც გაიგო, თუ რა საფრთხე მოელოდა საფრანგეთის არსებობას, მხოლოდ მაშინ გამოეხმაურა გულმხურვალედ ასკვიტისა და ედ. გრეის მჭერმეტყველ მოწოდებას, როდესაც შეიტყო რომ შეიარაღებული გერმანია მისდგომოდა ლიეჟის კარებს, საიდანაც იგი ემუქრებოდა ერთსა და იმავე დროს პარიზსა და ანტვერპენს „ამ ინგლისის მკერდზე მიშვერილ დამბაჩას“. წმინდა მორალი თვალსაზრისით, რომ შევხედოთ, უნდა ალვიაროთ რომ ინგლისის ხალხის დიდი უმრავლესობა ღრმა რელიგიური სულის მექონეა, წმინდა ქრისტიანული იდეალისა, რომელსაც არაფერი აქვს საერთო კაიზერისა და მის ქვეშევრდომთა მებრძოლ რელიგიურობასთან. მისი სიმპოლისტური იდეები და პურიტანული პრინციპები ყოველგვარ ომის და სისხლის ღვრის წინააღმდეგ ჯანყდება. მხოლოდ მაშინ უკუაგდო ინგლისის ერმა თავისი შეძრწუნება სისხლის ღვრაში მონაწილეობის მიღებისა, როდესაც დაინახა გერმანეთის სილაჩრე, რომელიც მან ჩაიდინა პატარა და თავისუფალ ერის უძლურების წინაშე. მხოლოდ მაშინ გულში ამოაჭრა დასჯა გერმანიისა და მის წინააღმდეგ შურის ძიება.

და აი ამ ერის წინააღმდეგ, რომელიც დაჯილდოვებულია მაღალი ბუნებრივი ღირსებებით, ილაშქრებენ დღეს მისი მტრები და ბრალსა სდებენ, თითქოს ინგლისის ხალხს მოეწყოს კოალიცია, რომელიც გზას უღობავს მათ ამბიციას. ბრალსა სდებენ ინგლისის ხალხს ლა ეს „პატიოსანი“ მტრები, თითქოს ინგლისის ხელს გაებას და გაექსელოს ინტრიგების ქსელი, რომელშიც გაეხვიოს მათი სამშობლო. ესენი ისე ცუდათ იცნობენ ინგლისს, როგორც ტრეიჩკე და მისი შეგირდები, რომელთა აზრით ინგლისი ვახშს მოწყურებული ჩარჩთა ქვეყანა არის, მოკლებული ყოველგვარ სამხედრო ღირსებასა და ესენი ისე ცუდათ სჯიან ინგლისს, როგორც სჯის ბეტმან-ჰოლვეგი, რომელიც აღშფოთებაში მოიყვანა იმ გარემოებამ, რომ ინგლისმა ეგოდენ მნიშვნელობა მისცა დრომოჭმულ ხელშეკრულებას. დღევანდელი ომის წინა დღეებმა ნათელ ჰყვეს ერთის მხრით ინგლისის დიპლომატიის მაღალი ზნე და პატიოსნება, ხოლო მეორეს მხრით გერმანიის დიპლომატიის ბოროტი ზრახვა. ნათელ ჰყვეს აგრეთვე დიდი ბრიტანიის და მისი მინისტრების ლოიალობა ერთის მხრით და გერმანიის და მისი საიმპერიო მოხელეთა ორპირობა მეორეს მხრით.

ს. ი—ია.

◆ **ღვინის მოთხოვნილება.** ამ რამდენიმე ხნის წინად თბილისის საკანტროლო პალატის საშუალებით სათანადო დაწესებულება შეეკითხა თბილისის გუბერნიის მევენახეობა-მეღვინეობის კომიტეტს, რომ კიევის სამხედრო ოლქის ჯარებისათვის 100 ათასი ვედრო წითელი ღვინოა საჭირო და თქვენს რაიონში თუ შეგვეძლება ამის შოვნა და რა ფასებშიო. კომიტეტმა აღუთქვა ღვინის მიწოდება და თან ყოველივე დაწვრილებითი ცნობები მიაწოდა ხსენებულ დაწესებულებას. გავიდა რამდენიმე დღე და კომიტეტისათვის ღვინო არ მოუთხოვნა დაწესებულებას. ეხლა თბილისში გაჩნდნენ ვიღაც მოსული ჩარჩები, რომელნიც იმავე სამხედრო ოლქის ჯარებისათვის წითელ ღვინოს დაეძებენ თბილისში. ცხადია, დაწესებულებას ღვინის მომყვანთათვის ზურგი შეუქცევია და ღვინის ყიდვა მიუნდვია ჩარჩებისათვის. ჩვენ სარწმუნოდ გადმოგვცეს, რომ თბილისის ცნობილი ფირმები ღვინოს არ მიჰყიდიან ამ ჩარჩებს.

◆ **შემოწირულება.** ეპისკოპოსის დავითისაგან (ერობაში კაჭახიძე) მოუვიდა ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობას 50 მან. ქართველ მაჰმადიანთა სასარგებლოდ და 50 მანეთი წყალდიდობისაგან დაზარალებულ დასავლეთ საქართველოს მცხოვრებთათვის.

◆ რედაქციამ მიიღო: 1) **გ. ჟორდანიასგან** სოფ. წაღვერში „მძურ სიტყვის" გაყიდვის შემოსავალი (აჭარელების დღე) 126 მანეთი და 47 კაპ. ფული გადაეცა ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას.

2) **მისგანვე** სოფ. წაღვერში 30 ივლისს ვაჟას პანაშვიდზე შეგროვილი ვაჟას ცოლშვილისთვის გადასაცემათ—59 მანეთი და 53 კაპ. ფული გადაეცა ვაჟას დამკრძალავ კომიტეტს.

შემომწირველთა სია ჩვენს გაზეთში იქნება გამოცხადებული.

---

**დ. ხონი.** 2 აგვისტოს საკრებულო დარბაზში გაიმართა კრება. კრებაზე დაადგინეს კოოპერატიულ ფურნის გახსნა.

— ხონიდან ქუთაისამდე დილიჟნები და ეტლები არ გადის, ხიდის გაუკეთლობის გამო.

— კვირას, 2 აგვ. წარმოადგინეს დაძმა. ხალხი ბლომად დაესწრო.

— ფუთი სიმინდი იყიდება მანეთ-ნახევრად.

— ხონის საზოგადოებას ჰსურს საკუთარი თეატრის აშენება.

— **ფასის აწევა.** დაბალ ხარისხის ბოთლ ღვინოს მიკიტნები ყიდიან 45 კაპ. აუწიეს ფასი ყოველისფერს. მაგალითათ: რვეული, რომელიც ღირდა ოთხი კაპეიკი გახადეს ექვს კაპეიკად. წიგნს რომელიც ყიდიდენ 80 კაპ. ეხლა ჰყიდიან მანეთად.

# მკითხველის შენიშვნები

V

(დასასრული)

ამ ხასიათისაა Новое Слово-ში მოთავსებული ლექსიური განყოფილება, რომელსაც თან მისდევს **რუსული ანბანი.** რუსული ანბანი ახალს არას წარმოადგენს გარდა იმისა, რომ სავარჯიში მასალა ახალი არის შესასწავლად გაცილებით ნაკლებია, ვიდრე Рус. Сл. ჩვენის აზრით ეს მასალა კიდევ უფრო უნდა შემოკლდეს, რაკი კითხვის მექანიზმი ბავშვების მიერ უკვე დაძლეულია დედა-ენაზე სწავლებისას, ახალი რუსული ასოების შესწავლას კი მაგდენი დრო არ მოუნდება. ამ განყოფილების შესახებ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ორი ნაკლი: ხშირად საწერი ასოების ელემენტები ბადის ხაზებს (линіи сѣтки) არ მისდევენ, რის გამოც ბავშვებს სწორი ასოების წერა გაუჭირდებათ. ეს ერთი. მეორე ისა, რომ მე 31 გვერდზე ერთი არა სასიამოვნო შეცდომაა შეპარული: ასო д-ის შესასწავლად დივანია დახატული ქვეშ წარწერით: диванъ. მაშასადამე, ბავშვებმა უკვე იციან ასო в. ნამდვილად კი ასო в შემდეგ სავარჯიშოში (корова) შეისწავლება. ეს „недосмотръ"-ი, რუსებისა არ იყვეს, უნდა დაუყოვნებლივ შესწორდეს შემდეგ გამოცემაში. „რუსული ანბანის" შემდეგ წიგნში მოთავსებულია მესამე და უკანასკნელი განყოფილება—**საკითხავი მასალა.** ეს განყოფილებაც აღსანიშნავია ისევე, როგორც ლექსიური განყოფილება. ეს მასალა მეთოდიურად შემუშავებული და დალაგებულია. თუ ლექსიურ განყოფილებაში მასალის შეთვისება ხდებოდა ანალიზით, აქ ამ საშუალებად სინტეზია მიღებული. პირველი გაკვეთილის განხილვა აქაც ნათლად დაგვანახვებს, თუ როგორა ხდება მასალის შესწავლა. აი ეს მასალა. წიგნის ამ განყოფილების პირველ გვერდზე მოთავსებულია ორი სურათი: 1) სახლის სახურავზე სძინავს კატას. მის ახლო, სახურავის ყურეზე, ჩიტი ზის; 2) კატა იღვიძებს და უნდა ჩიტს ეცეს, მაგრამ ეს უკანასკნელი უკვე ჰაერშია. წიგნში მოთავსებულ მარტივ კითხვების საშუალებით მოკლედ და მარტივადვე ააწერინებს მასწავლებელი ბავშვებს ამ ორ სურათს (რუსულად, რასაკვირველია). ამის **შემდეგ** ბავშვები კითხულობენ რუსულ მოთხრობას: „Кошка и птичка-ს, სადაც უფრო ვრცლად არის მოთხრობილა ამ კატისა და ჩიტის ამბავი. აქ სურათით გამოწვეული ინტერესი მოთხრობაში ღრმავდება, რაიც აკმაყოფილებს მეორე ძირითად მეთოდიურ მოთხოვნილებას; მარტივიდან რთულზე. ამ ნაირად თითქმის, ყველა მოთხრობას ამ განყოფილებაში წინ უძღვის სურათები, რომელთა სიუჟეტები ამ მოთხრობებიდან არიან აღებულნი. თითქმის ყოველივე მოთხრობას თან ახლავს კითხვები, გამოწვეულნი შესწავლილი მასალით რომელნიც აშუქებენ და აღრმავებენ ამ მასალის შინაარსს. ლექსიურ განყოფილებაში უმთავრესი ყურადღებაა მიქცეული ზმნის ფორმებზე, აქ კი კანკლედობაზე, რის შესასწავლად წიგნში სათანადო ადგილებში მოთავსებულია შესაფერი საწერი სავარჯიშონი. კარგს იზამდა შემდგენელი, რომ შეეტანა ისეთი სავარჯიშონიც, როგორიც ბ. ვახტეროვსა და აკლეროვსა აქვთ მოთავსებულნი თავიანთ წიგნაკებში. „Новое Слово"-ს ბოლოში ჩართული აქვს რამდენიმე მარტივი სიუჟეტიანი სურათი. ეს სურათები უნდა ასწერონ ბავშვებმა მასწავლებლის დაუხმარებლად. ამნაირად, თუ ჩავუკვირდებით იმას, თუ როგორ სწარმოებს ენის შესწავლა ამ მესამე განყოფილებით, შევნიშნავთ, რომ აქ ისევე ადვილად განაგრძობს ბავშვი რუსული ენის შესწავლას, როგორც ლექსიურ განყოფილებაში. აქ სინტეზი ისეთსავე როლსა თამაშობს, როგორც ანალიზი ლექსიურ განყოფილებაში. რაც შეეხება საზოგადოდ წიგნში მოთავსებულ მასალას, იგი შინაარსის მხრივ საინტერესოა ბავშვებისათვის და მიზანს აღწევს.

აი დაახლოვებით ის, რის თქმაც შეიძლება „ახალ სიტყვაზე". თუ რამოდენად სწორეა ჩვენი შეხედულება ამ წიგნზე და რამდენად ნაყოფიერი იქნება ამ წიგნით სწავლება, ამას პრაქტიკა გვიჩვენებს. დასასრულ ორიოდე სიტყვა სურათებზე. სამწუხაროდ, იგინი ესთეტიურ გრძნობას ვერ აკმაყოფილებენ, თანაც ზოგნი საგნებს სინამდვილით ვერ გამოხატავენ. მაგალ. 58 გვერდზე მოთავსებულ სურათზე გლეხებს უჭირავთ ხელში წერაქვები, რომელთაც თითო საჟენი ტარები აგიათ, როგორსაც ცელებს უკეთებენ. კარგი იქნებოდა, რომ ავტორს წიგნის ბოლოში დამატებად მოეთავსებინა სანიმუშო გაკვეთილი მასწავლებელთათვის, რაკი, შესაძლოა, ამ მეთოდს შეუჩვეველ მასწავლებელთ გაუჭირდეთ „ნოვოე სლოვო"-თი სწავლება.

ვუსურვებთ „ახალ სიტყვას" ახალი გზით ევლოს და „ძველი სიტყვების" ბედი არა სწვეოდეს.

**ვას. ჯაფარიძე.**

# ფერისცვალება

რა საკვირველი დღესასწაულია! რა საცვიფრელი სახელი დაურქმევიათ! რამდენს საგულისხმოს გვეუბნება...

ფერისცვალება!

ეს ხომ თვით ცხოვრებაა... ჩვენი ცხოვრება, ადამიანთა ცხოვრება.

მართალია გუცკოფის ბენ-აკიბა: „ყოველივე ყოფილაო!"

არა რაი არს ამ ქვეყნად ახალი: ძლიერის მიერ სუსტის ჩაგვრა; ახალგაზდათა ალტაცება, გატაცება; ხან-დაზმულთა, გამოცდილთა ერთ დონეზე შეჩერება და ახალგაზდათა ზრახი—არ გვიჯერიან, თავიანთ სიჩქარით საქმეს წაახდენენო! მეგობართა ღალატი, სიყვარულის მიდმოება, აღორძინება და დამხობა, მწვერვალზე ასვლა და ჭაობში ჩაფლვა... ყოველივე ეს ყოფილა, არის და იქმნება.

არ ყოფილა ტელეფონი, ჰაეროპლანი, რამოდენიმე ას ვერსტზე გაჭიმული ჯარის ფრონტი, 42 დიუმიანი ზარბაზნები, ცეცხლის ქოლგები, სოციალისტი მინისტრათ, ანატოლ ფრანსი და მეტერლინკი, თუნდა დანუნციოც ჯარისკაცად, ავტონომია პოლონეთისა. დიაღ, არ ყოფილა ესენი.

მაგრამ ყოველივე ის, რაც მათ იმოძრავებს—ეროვნული შეგნება, ეკონომიკა და სხვა რთული მიზეზთა დასაბამი მაინც, რამაც შექმნა ესეთი ერთი შეხედვით საცვიფრელი, უჩვეულო მოვლენანი, მუდამ-ჟამს იყო, არის და იქმნება.

მხოლოდ გაფართოვდა ფარგალი მოქმედებისა, სახე მიიღო გრანდიოზული.

მხოლოდ ფერი იცვალა საგნებმა, შინაარსი კი იგივე აქვთ.

და აი ამ საერთო ფერისცვალების დროს ვაი იმ ერს, რომელიც სრულიად დაჰკარგავს თავის სახეს. ესეც ერთი კანონია „ულმობელის ფერიცვალებისა".

ჩვენ ხომ არ დაგვვიწყებია ჩვენი ისტორიული მისია?—ჩვენც გვქონდა ესეთი.

ეს იყო ჩვენი **თავის მოვლა.**

ყოველ ჩვენს ისტორიულ ეტაპებში, ყოველ ჩვენს **ფერისცვალებაში** მჭიდროთ იყო ჩაჭდეული **თავის მოვლა.**

და დღევანდელი ფერისცვალება მას გვახსენებს, მას გვიბრძანებს...

**შალვა დადიანი.**

# აჭარა

ნაშუადღევის 5 საათი იყო, რომ ბათომიდან 1 აგვისტოს ამოსულმა ფოსტამ გაზეთების საშვალებით გვამცნო ვაჟაფშაველას გარდაცვალების ამბავი. ამ საზარელმა ამბავმა მოიცვა აჭარის მთებიც და გულდასმით ისმენდნენ გაზეთში წაკითხულს და თან გვეკითხებოდნენ, ვინ იყო ის კაცი რომლის სიკვდილმა ეგრე დაგაღონათო.

როდესაც აუხსენით მათ ვაჟას ვინაობა, მაშინ ყველას გულიდან მოისმა ოხვრა და სთქვეს: რით შეგვიძლიან ქართველ ხალხის ესეთი უბედურება გავინაწილოთო. ჩვენ უპასუხეთ: სამძიმრის დეპეშის გაგზავნით შეიძლება.

მათაც ერთხმათ გადასწყვიტეს დეპეშის გაგზავნა თბილისში, მთელ ქართველ ხალხთან ერთად იზიარებდენ ახალ მწუხარებას, უბედურნი ვართ მით, რომ დღითი დღე აკლდებიან ჩვენს სამშობლოს ის დაუღალავი ძალები, რომელნიც სათავეში უდგნენ ჩვენს სამშობლოს პოეზიას და მით ასაზრდოებდნენ მთელ ახალ თაობას, მაგრამ ბედნიერეად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ამდენი ხნის დაკარგული ჩვენი ძმები—აჭარლები, რომელთა არსებობაც ბევრმა არც კი იცოდა, დღეს ჩვენთან ერთად იმათთან ჩვენც ვსტირით და ვგოდებთ მთელ ქართველ ხალხთან ერთად და გვიერთდებიან ჩვენ ჭირში და ლხინში.

ესენი არიან ძველი საქართველოს შვილები, რომელთა ბედნიერება და გათვითცნობიერება დღეს ჩვენზედ არის დამოკიდებული.

**გ. კაჭახიძე.**

# აფხაზეთში

**რუსული წირვა ქართველთა-შორის.**

წინათ, ქრისტიანობის შემოღებიდან ჩვენს დრომდე, როგორც ვიცით, სოხუმის ოლქში, ანუ აფხაზეთში წირვა-ლოცვა და საზოგადოდ ღვთის მსახურება სწარმოებდა ქართულს ენაზედ, მაგრამ ერთი ხანია, ერთგვარ პოლიტიკის მეოხებით, რუსულზე გადავიდა,—ხოლო ბოლოს კი—აფხაზურადაც მოეწყო ზოგიერთ ადგილებში, უთუოდ იმ მიზნით, რომ ღვთის მსახურება გასაგები იყოს მსმენელი საზოგადოებისათვის.

ქართული წირვა-ლოცვის განდევნა სოხუმის ოლქიდან მოხდა საზოგადოდ მას შემდეგ, რაც ერთმა ჯგუფმა რუსაფხაზებისამ დიდი „კვლევა-ძიების" შემდეგ „დაამტკიცა", რომ აფხაზებს ქართველებთან საერთო არაფერი ჰქონდათ.

სწორედ ამ ჯგუფმავე, ამ მეოცე საუკუნის დასაწყისში, კაცობრიობის კულტურულ სალაროში შეიტანა ახალი „განძი": აფხაზური ანბნაი (რუსულიდან გადაკეთებული) და „ლიტერატურა".

გადაითარგმნა სახარება და წირვის წესები აფხაზურად და, როგორც ზემოდ ვთქვით, ზოგიერთ ადგილებში მოეწყო კიდეც „საცდელი" წირვა-ლოცვა ამ ენაზე.

რასაკვირველია, ამის წინააღმდეგ არაფერი ითქმის,—პირიქით, სამართლიანობა და თვით სახარებაც მოითხოვს, რომ მღვდელი და მრევლი ერთსა და იმავე ენაზე ჰლაღადებდნენ და ადიდებდეს უფალსა... აღსანიშნავია მხოლოდ ის, რომ ამ ვითომდა „სამართლიანობას" თან მოსდევს ერთი უსამართლობა.

საქმე ისაა, რომ მთელს სოხუმის ოლქს უწოდებენ „აფხაზეთს", ხოლო აფხაზთა რიცხვი კი ამ „აფხაზეთში" ძლიერ მცირეა.

სოხუმის ოლქს შეადგენს, როგორც ვიცით, ოთხი ადმინისტრატიული ნაწილი: სამურზაყანო, კოდორი, გუმისტა და გუდაუთი.—ამათში მთელი სამურზაყანო, ნახევარი კოდორისა და თითქმის მთელი გუმისტის ნაწილი მეგრელებით არის დასახლებული; შეიძლება მხოლოდ გუდაუთის ნაპირზე ითქვას, რომ იქაურნი მკვიდრნი აფხაზები არიან და ისიც სოფლებში და არა თვით დ. გუდაუთაში.—მიუხედავად ამისა, ყველგან სოხუმის ოლქში რუსული წირვა-ლოცვაა გაჩაღებული... მაგალითად, როცა თქვენ შედიხართ დაბა ოჩამჩირის ეკლესიაში, სადაც, როგორც ადგილობრივი მკვიდრნი, ისე მოსამსახურე პირნიც-კი ყველა ქართველები არიან, გეგონებათ თქვენი თავი სადმე შუაგულ რუსეთში და შეიძლება სანთელიც რუსულად მოითხოვოთ. ასეა ყველ განსოფლებშიაც. და ეს იქ, სადაც, როგორც მრევლი, ისე მღვდელიც „ჩვენებურია".

თუ ჩვენს ქვეყანაში უცხო ერთა (ნემეცთა, ფრანგთა, თათართა და სხვათა) „კოლონიებსაც" კი აქვთ უფლება თავიანთ ენაზე აწარმოონ ღვთის მსახურება, ნუ თუ ჩვენი ხალხი, ქართველები, არ არიან ღირსნი გაიგონონ სახარების დიდმნიშვნელოვანი სიტყვები მშობლიურს ენაზედ?

როცა საქართველოს ეგზარხოსმა—პიტირიმმა—ბუნებრივმა რუსმაც კი შეისწავლა წირვის წესები ქართულად, ნუ თუ „ჩვენმა" მამებმა უნდა დაივიწყონ იგი და „ირუსულონ" ეკლესიაში? აი, ამიტომ არის კიდეც, რომ სოხუმის ოლქის ეკლესიებში წირვას ისმენენ მხოლოდ ეკლესიისავე კედლები.

ყოველივე ეს მოსდით ჩვენს მამებს ზედმეტის ერთგულებით, მაგრამ ავიწყდებათ კი უკვდავი აკაკის სიტყვები, რომ:

> გადაგვარების მოსურნე
> ბუნებისაგან კრულია,
> მისი პირადი ღირსება
> ყოველგან დაჩაგრულია.

**კაი.**

# ქართული ეროვნული სახელები

გაზ. „საქართველოში" [1]) ბატონმა ს. დ—ძემ ფრიად საყურადღებო საკითხი აღძრა: სინოდის ახალ უქაზის ძალით სამღვდელოებამ მეტრიკის წიგნში უნდა აღნიშნოს, რომელ სახელის წმიდანი როდის იდღესასწაულების, ხოლო რადგანაც ქართული ეროვნული სახელები მსოფლიო კალენდარში [2]) აღარ მოიპოვება, მღვდლები, უხერხულობის თავიდან ასაცილებლად, გვერდს უქცევენ ასეთ სახელებს, საერთო სახელებით იოლად მიდიან და შორს არ არის ის დრო, როცა ფაქტიურად მოისპობა მრავალი ქართული სახელი, რომელიც ძვირფასია ქართველ ერისთვის თავის ისტორიულ მნიშვნელობით და ფსიხიურ შინაარსით.

ასეთი უქაზი სინოდისა მართლაც არსებობს. იგი გამოიცა 1912 წლის 15 გიორგობისთვის 24 ნომრით და ძალაში შევიდა 1913 წლის 1 იანვრიდან. მან რუსის სამღვდელოებაც კი ჩააყენა უხერხულ მდგომარეობაში, რადგანაც სლავიანურ კურთხევანში არ არის ზოგიერთი ნამდვილი რუსული ეროვნული და მსოფლიო სახელებიც კი. მაგალითად, ოლეგ, ანგელინა, ვალენტინა და სხვანი. ქართველ სამღვდელოების უხერხულობასაცოდაობას ხომ საზღვარი არა აქვს. მე პირად ვნახე (მღვდელსაც ვიცნობ და მონათლულსაც), როცა მღვდელმა ვახტანგის ნაცვლად ვახტისი დაარქვა ბავშსა, თუმცა ნამდვილად ეს ორი სულ სხვა და სხვა წმიდანებია: ვახტანგი იდღესასწაულების 30 ნოემბერს, ხოლო ვახტისი 18 [illegible] მეფე [illegible] მქედელს ჭირის ოფლი [illegible] გაგონებამ და არავითარის გზით არ დაყაბულდა მის ჩაწერაზე, თუმცა „ქაიხოსრო ქართველი" ცხოვრობდა მეთექვსმეტე საუკუნეში, ეწამა 1558 წელს და იდღესასწაულების 16 თიბათვეს.

ამ მხრით რუსეთის სამღვდელოების მდგომარეობა გაცილებით უკეთესია ქართველისაზე. სულ რამოდენიმე კაპიკის საქმეა შეიძინოს რუსის მღვდელმა ჰატცუკის, კირხნერის ან სხვა მაგისთანა კალენდარი, რომელშიაც სრულიად შევსებულია სლავიანურ კურთხევანის ნაკლი. ქართველ წმიდანთა ცხრილი კი იშვიათი საშოვნელია და ვგონებ არც კი იყიდება. დიდი მადლობის ღირსია მამა სიმონ მჭედლიძე ქართველ წმიდანთა სიის გამოცემის ინიციატივისა გამო, მაგრამ მისი შრომა, სამწუხაროდ, მიზანს ვერ აღწევს, რადგანაც შალვა, შიო, ელიზბარი და სხვა მაგისთანა სახელები ჰატცუკსაც აქვს მოყვანილი. გობრონ საბინინის 640-გვერდიან „საქართველოს სამოთხე" უმრავლესობისათვის ხელმიუწდომელია და არც სრულია. 1904 წლის საქართველოს კალენდარს, რომელიც ბ-ნ ფილ. გოგიჩაიშვილის რედაქტორობით გამოიცა, დართული აქვს ქართულ ეროვნულ სახელების სია და დღესასწაულთა ცხრილი [3]), მაგრამ, სამწუხაროდ, სიაში ყველა სახელებს ვერა ვპოულობთ და თვით კალენდარი დღეს იშვიათად თუ იშოვება სადმე.

რომ ჩემი წვლილი შემეტანა ამ უხერხულ მდგომარეობის გაუმჯობესობაში, თქვენმა უმორჩილესმა მონამ, ამ სტრიქონების დამწერმა, 1913 წლის გაზაფხულზე გაზეთში „ხმა კახეთისა" [4]) მოვათავსე ორმოცდაათამდე ქართული სახელი თვე და რიცხვიანად, გავაფრთხილე მკითხველი საზოგადოება, რომ „ქართული ეროვნული სახელები განსაცდელშია" და იმედს გამოვსთქვამდი, რომ „ქართული ეროვნული სახელები განსაცდელშია" და იმედს გამოვთქვამდი, რომ „მსურველნი ისარგებლებენ (ჩვენის) სიითა და ჩვენზე უფრო მცოდნენი შეავსებენ მის ნაკლულევანებას და შემადგენლობას".

მაგრამ ჩვენი იმედი მხოლოდ იმედად დარჩა—და სახელების ბაზარი ანიჩკაჟენია-სერიოჟებს შერჩათ ხელში. დღეს, როცა ფართო საზოგადოებამ შეიგნო ამ მდგომარეობის არამც თუ უხერხულობა, საშინელებაც კი, ისევ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ნასწავლი ნაწილი ჩვენის სამღვდელოებისა, აკადემიელი მამანი თავს იდებენ ამ წმიდა და ეროვნულ მოვალეობას და ამით სამსახურს გაუწევენ სამწყსოს.

**იორდანე**—აპრ. 15.
**ისე**—მაის. 7.
**ლუარსაბი**—მარ. 20; ივნ. 21.
**მამია**—სექტ. 2.
**მამიკა**—მარტ. 26.
**მარი**—ოქტ. 14.
**მირიანი**—მაის. 23.
**ნანა**—მაის. 23.
**ნერსე**—ივლ. 1.
**ნესტავი**—აპრ. 24.
**ნინო**—იან. 14; მაის. 23.
**რამაზი**—თებერ. 22.
**რაჟდენი**—აგვისტ. 3.
**სიდონია**—ოქტ. 1.
**ტარიჭანი**—მაის. 18.
**ურიკა**—მარტ. 26.
**უფლისა**—აპრ. 5.
**ფარსმან**—თებ. 22.
**ღვთისხა**—იანვ. 5.
**ქაიხოსრო**—ივნ. 16.
**ქეთევანი**—აგ. 20; სექ. 13.
**შალვა**—სექტ. 18 და 29.
**შიო**—მაის. 7 და 9.
**შუშანა** (შუშანიკი)—აგ. 28.
**ჯუანშერი**—თებ. 22.
**დოდო**—ამაღლების შემდეგ ოთხშაბათს.

**კვირიკე**—ივლ. 15.
**აბო**—ივან. 8.
**არჩილი**—მარტ. 20; ივნ. 21.
**აშოთ**—იანვ. 29.
**ბაგრატი**—ივლ. 9.
**ბათო**—მარტ. 26.
**ბარძიმ**—თებ. 22.
**ბაქარი**—თებ. 22.
**ბიძინა**—ივლ. 24; სექ. 18.
**გობრონი**—ნოემბ. 17.
**გურამ**—თებ. 22.
**დარეჯანი**—ივლ. 12.
**[illegible]**—მარტ. 17.

---

[1]) 6 აგვისტო, № 63.

[2]) ან უკეთ ვთქვათ, რუსულ კალენდარში და სლავიანურ კურთხევანში, რომლითაც ნება-უნებლივ სარგებლობენ ჩვენი მღვდლები.

[3]) 64—70 გვ. სალექსიო ნაწილისა.

[4]) „ხმა კახეთისა" 1913 წ. 28 აპრილი, № 48.

ელიზბარი—სექტ. 18.
ვახტანგი—ნოემბ. 30.
ვაჩე—თებ, 22.
თამარი—მაის- 1.
თეთრა—მარტ. 26.
თიკო—მარტ. 26.
თორნიკე—ივნ. 12.
ია—აგვ. 4; სექტ. 11.

ახელი.

## ჩვენი ცხოვრება

**ხონის თეატრში ცეცხლის გაჩენა.**

ხუთშაბათს 6 აგვისტოს ნატალია ჯავახიშვილის ბენეფისზე გაჩნდა ცეცხლი. როდესაც მეოთხე მოქმედება თავდებოდა, ვიღაც უცხო პირს ლამფა აუწევია ზევით, მაგრამ უცბად თოკი ხელიდან გასლხტომია. ლამფა იატაკზე დაცემულა და გასკდა. ხალხი წივილ-კივილით გარბოდა გარედ. აღარაფერს აღარ დაეძებდნენ ოღონდ კი თვითონ გადარჩენილიყვნენ. ცეცხლმა თანდათან იმატა დაბოლოს ჭერამდისაც მიაღწია. ხალხი წინა და უკანა კარებში ვეღარ ეტეოდა. სტრაჟნიკებმა კარები დაამტვრიეს. ვიწროობის გამო ხალხი პოლზე ეცემოდა და კიოდა. მათზე ფეხით გადადიოდნენ სხვები. ხალხი შიშისაგან თავის ნივთებს აღარა ჩიოდა, ოღონდ თავი დაეღწიათ კარებამდე და ხელიდან ყრიდნენ რაც კი გააჩნდათ; ამ მიზეზების გამო ბევრი ოქროულობა დაკარგეს. ცეცხლი დიდხანს არ გაგრძელებულა. რაც კი მოხვდათ ხელში დააფარეს ცეცხლს და დიდის გაჭირვებით ჩააქრეს. ზარალი დაახლოვებით 800 მან. არის. ხალხთაგანს გული შეუღონდა და წყლით მოაბრუნეს. მთელს საათს კივილი და ქვითინი ისმოდა.

ხიდისთაველი.

---

**გორი.** ახლა კი ზედმეტი იქნება გორელების ყვედრება, ვითომც გორში არავითარი გასართობი არ იმართებოდეს. აი, ეს ზაფხული ბევრი რამით აღინიშნა: წარმოდგენები, სეირნობა, კონცერტი, ლექციები და ათასი სხვა რამ. მაგრამ ის, რამაც მეტი შთაბეჭდილება დასტოვა გორელებზე, ეს გახლავთ მ. კავსაძის კონცერტი 7 აგვ. ხორო 25 კაცისაგან შესდგებოდა, ქულაჯებით გამოწყობილიყვნენ. მათი სიმღერები ბევრ რამეს გვეუბნებოდა მშობლიურს. სულ ოცამდე სიმღერა შეასრულეს. განსაკუთრებით ჩვენთვის საყურადღებო იყო მესამე განყოფილება. აქ წარმოგვიდგინეს სოფლური სცენები, სიმღერები, ყველა ჩვენთვის ასე მახლობელი და იმავე დროს შორეული... უკვე ჩვენგანვე დაშორებული. გლეხის კვნესა, დაუსრულები სევდა, ოფლად განაწური, ტანჯვის ცრემლი, მომაჯადოვებელ კაეშნით ჰბერს თვითეულ ჰანგში, გტანჯავთ და ფიქრით და გრძნობით მაინც გაცოცხლებთ გლეხის ტანჯული ცხოვრებით! არა, მადლობის ღირსია მ. კავსაძე, რომ ასეთი ფაქიზი გრძნობანი გაგვიღიმა გორელებს...

მარჯვედ და ყველას დასატკბობად გაისმა სალირაშვილის მიერ აცრემლებულ თარის ხმა, რისთვისაც საზოგადოებამ მხურვალე ტაში შესთავაზა.

საზოგადოდ კონცერტმა მადლიანი შთაბეჭდილება დასტოვა. ამიტომ იგი დიდს მადლობას სწირავს მ. კავსაძეს, ხორისტებს და განსაკუთრებით ბ-ნ ნ. ჩაგუნავას, ვინც ამ ზაფხულს ხან წარმოდგენებით გვართობს და ხან ასეთი იშვიათი კონცერტით, რაიც მისი თაოსნობით გაიმართა.

ურბნელი ვასო:

## დეპეშები

**სევასტოპოლი,** 10 აგვ. რუსის გემებმა კვლავ დაანგრიეს სანაპირო სიმაგრეები და რავდენიმე ქვანახშირით დატვირთული დაჰლუპეს ტრაპიზონთან.

**ათინა,** 9 აგვ. სამინისტროს კრიზისი დასრულებულად უნდა ჩაითვალოს. ვენეზილოსი შეუდგა კაბინეტის შედგენას, რამაც საყოველთაო სიხარული გამოიწვია. ვენეზილოსის გაზეთი „პატრისი" ჰფიქრობს, რომ ეხლა გვმართებს სიფრთხილე ნეიტრალობის დასაცველადო.

**სტოკჰოლმი,** 9 აგვ. „ბერლინერ-ცეიტუნგ-ამ-მიტაგი" სოფიიდან იუწყებიან, რომ ოსმალ-ბულგარეთის ხელშეკრულობას. ორივე მხარემ ხელი მოაწერესო.

**სოფია,** 9 აგვ. გაზეთებში მოთავსებულია სამხედრო მინისტრის შემდეგი განცხადება: „ვიღებ რა პორტფელს, დარწმუნებული ვარ, რომ ბულგარების არმია უკვე მზად არის საომრად გავიდეს ველზე. ჩვენ ვემზადებოდით ჩვენთავად, არავის შთაგონებით. ამიტომ ჩვენი ლაშქარი ცივად მოელის საბედისწერო საათს და მწამს კიდეც, რომ ღირსეულად შეჰხვდება მას ბულგარეთის საკეთილდღეოდ. ბულგარებს შეუძლიანთ სრული იმედი დაამყარონ თავიანთ მამაც მხედრობაზე".

**ისპაჰანი,** 10 აგვ. მოვიდა გერმანელი მაიორი და ლეიტენანტი ჯარისკაცებით.

**ათინა,** 9 აგვ. სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან რომ ოსმალეთის ყურადღება გალიპოლისკენ არის მიქცეული და იქ თავს უყრის ჯარს ინგლისის ჯარის წინაამდეგ, რომელიც ინგლისმა სევალეს სიმაღლესთან გადმოსხაო.

**კოპენჰაგენი,** 10 აგვისტო. „ლოკალ ანცაიგერ"-ის ცნობით ნოვოგიორგიევსკის ციხის გადაცემის დროს მოსპეს ყოველნაირი სამხედრო სურსათი.

**კოპენჰაგენი,** 10 აგვისტო. გერმანეთის სამხედრო შტაბი აცხადებს, რომ რიგასთან 3 ნაღმოსანი დაუზიანდა გერმანეთს.

**მოსკოვი,** 10 აგვისტო. პოლონელთა ყრილობაზე შეიმუშავეს გამოქცეულთათვის დახმარების გეგმა. ყრილობაზედ მონაწილეობას იღებდნენ წარმომადგენელნი მინსკისა, ოდესისა, კიევისა, ყაზანისა, ხარკოვისა, თბილისისა და სხვა ქალაქებისა.

**სტოკჰოლმი,** 9 აგ. ბერლინიდან იტყობინებიან. 6 აგვისტოს რეიხსტრაგის გახსნის დროს იმპერიის კანცლერმა ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა, რომლითაც სცდილობდა დაემტკიცებინა, რომ დღევანდელ მსოფლიო ცეცხლის გაჩენის მიზეზი ინგლისია რადგან გრეი ეწინააღმდეგება ყოველნაირ შეთანხმებას ინგლისგერმანეთს შორისაო. სიტყვის დასაწყისს კანცლერმა მაღალ ფარდებიან სიტყვებით მოიხსენია გერმანეთის სამხედრო გამარჯვებანი. მადლობა გადუხადა ნეიტრალ სახელმწიფოებს ინვალიდების გადაზიდვაში აღმოჩენილ დახმარებისათვის. მოიხსენა ცალკე პაპი, რომელმაც ინიციატორობა გამოიჩინა ამ საკითხში და დიდი დახმარებაც გაუწია ამ საქმეს. როდესაც რუსეთს შეეხო, კანცლერმა სთქვა, რომ იგი ყოველთვის სცდილობდა დაესუსტებინა საერთო გამწვავება. ზოგიერთა საკითხებში მოხერხდა კიდეც კეთილი შეთანხმება რუსეთთან.—მოიგონა პოტსდამის შეთანხმება რუსეთის და გერმანეთის მთავრობათა ურთიერთი დამოკიდებულება მუდამ გარკვეული და ნდობით იყო, მაგრამ ამით ვერ მოხერხდა საერთო პოლიტიკური მდგომარეობის გამოკეთება, რადგან საფრანგეთის და ინგლისის რევანშის (სამაგიეროს გადახდის) სურვილი და პანსლავისტური მისწრაფებანი რუსეთისა ყოველთვის ძლიერდებოდა ლონდონის კაბინეტის ანტიგერმანულ პოლიტიკით, რომელიც იმის ცდაში იყო მუდამ, რომ ევროპაში ერთხელ არსებული ძალთა განწყობილება არ დარღვეულიყო. გამწვავება იმდენად ძლიერი იყო, რომ პირველ შემთხვევისთანავე აირია ყველაფერი. ასე, ამ მდგომარეობაში დადგა 1914 წელი. (დასასრული ამ სიტყვისა ჯერ არ მოსულა).

## წერილი რედაქციის მიმართ

**საქობოს მამულის გამო**

ორი წლის განმავლობაში დიდი დავა იყო ატეხილი სოფელ საქობოს (სიღნაღის მაზრაში) ჰიაურის ტყის კონტრაგენტსა და თვით სოფლის წარმომადგენელთა შორის. არც ქართულსა და არც რუსულს პრესას ამის შესახებ ხმა არ ამოუღია. მხოლოდ „ხმა კახეთისაში" იყო დაბეჭდილი რამდენიმე წერილი, რისთვისაც მე, მისმა რედაქტორმა დავიმსახურე დიდი უსიამოვნება კონტრაგენტის მეგობრებისგან. ეხლა, როცა მივწვევენ სამხედრო სამსახურში და დროებით „ხმა კახეთისა" შევაჩერე, ბ-ნ ა. ა—ლის „საქართველოს" ფურცელზე „ბაასში" მე გამოვყევარ სამშობლო სოფლის საქობოს მეტად დამღუპველად.

ვეცდები მკითხველს საქობოს ტყის ნამდვილი ისტორია გავაცნო.

1) საქობოს ჰიაურის სყიდვაში გლეხებისგან საქმის დამწყობი იყო მარშალი თ-დი დიმიტრი ერასტის ძე ჩოლოყაშვილი, 2) საქმის მოწყობაში საგლეხო ბანკთან დახმარება გაუწია სამიწადმფლობელო კომისიის წარმომადგენელმა ბ-მა ალ. ყიფშიძემ, 3) თ-დმა ალ. ჯორჯაძემ ამ მამულის სყიდვაში მიიღო მონაწილეობა მარტო როგორც მომრიგებელმა შუამავალმა, 4) სოფელს არ უნდოდა სყიდვა, რადგან მოშუამავლეს როგორღაც უნდობრად უყურებდა. უკანასკნელ ყრილობაზე, როდესაც გადაწყდა ტყის სყიდვა, ვგონებ 1909 წელს, მე თ-დ ჯორჯაძესთან ერთად დავესწარ ყრილობას და დიდი გავლენა ვიქონიე, რათა ეს საქმე მოგვარებულიყო. 5) ჰიაურის ტყეს და მინდორს წლიური შემოსავალი, სულ ცოტა, ხუთიათასი მანეთი უნდა ჰქონოდა და კიდევაც უნდა ჰქონდეს, რომ პატრონი ჰყავდეს. ასე რო ყოფილიყო მაშინ ადვილად შეიძლებოდა ბანკის ვალის წლიურად 3,700 მანეთამდე გაესტუმრებინა. 6) თ-დმა ჯორჯაძემ და ბ-ნმა სიღ. ნოტარიუსმა სოფლის წინაშე დიდი დანაშაული ჩაიდინეს, როდესაც ვიღაც ცერცვაძეს საქობოს ტყე უვადო კომისიით ხელში ჩაუგდეს. ამ ვაჟბატონის ხელიდან ტყის ჩამორთმევა რის ვაი-ვაგლახით მოახერხა სოფ. ჯუგაანის წარმომადგენელმა ნიკო ზედელაშვილმა ნაფიც ვექილის თ-დ ოსიკო ბარათაშვილის დახმარებით და ბ. გუბერნატორის განკარგულებით. 7) ტყის გაყიდვაში დიდი მონაწილეობა მიიღეს ნიკო ზედელაშვილმა, მისმა ძმისწულმა კოლა ზედელაშვილმა და თბილისში ღვინით მოვაჭრემ რაჟდენ მირიანაშვილმა. უკანასკნელმა ხარჯა ფული და კოლა ზედელაშვილთან ერთად რამდენჯერმე მოიარა პეტროგრადი, ვილნო და სხვა ქალაქები მყიდველების საშოვნელად, მაშინ როდესაც ბ-ნი კონტრაგენტი შინ ბრძანდებოდა, არც არაფერს ჰხარჯავდა და მხოლოდ თავის სასარგებლოდ აწერინებდა ქაღალდებს. 8) ეს წარმოება კი იმაში გამოიხატა, რომ მან, ბ-ნმა კონტრაგენტმა, 25 დესეტინა საქობის ტყე გაყიდა და ფული კი ბანკში არ შეიტანა, რის გამოც ცოტას გადარჩა საქობოს ტყე არ გაიყიდა, ამის შემდეგ ტყე ხელმეორედ მიჰყიდეს თ-დ მიხ. რევ. ვაჩნაძეს, „შპალები" გამოეტანა და აქაც რაღაცა დაემართა ამ საქმეს და სათანადო ფული არ შესულა ბანკში; ბოლო კი ის მოჰყვა, რომ დიდი მასალა გამოიტანა თ-დ ჯორჯაძის აგენტმა საქობოს მამასახლისმა სანდრო ყარალაშვილმა და სოფლის მწერალმა სიკო იაშვილმა. 9) სოფლის დაუკითხავად ამავე მამასახლისმა და მწერალმა რამდენიმე თანამეგობრის შემწეობით უკანონო განაჩენი დაადგინეს, რაზედაც, როგორც ამბობენ, „ტექსტი" თვით კონტრაგენტისგან იყო შედგენილიო. ყველა ეს ხარჯის ამკრეფ ინსპექტორ ჯანაშვილის, საგლეხო საკრებულოს წევრის თ-დ ი. დ. აფხაზის და ახალ მომრიგებელ შუამავლის ი. ჰყონიასგან შემდგარმა კომისიამ გამოარკვია. 10) თ-დ ჯორჯაძეს 60,000 მ. უნდოდა საკომისიო და არა 30,000, როგორც ამას ბ-ნი ა—ლი აუწყებს „საქართველოს" მკითხველებს. მე, ექიმმა თ-დ ნ. ა. ჯანდიერმა, ნაფიცმა ვექილმა გრ. ს. რცხილაძემ, რაჟდენ მირიანაშვილმა, და სხვა პატივსაცემმა პირებმა თ-დ ჯორჯაძეს წინადადება მივეცით 10 პროც. აეღო საკომისიო ანუ სადალალო, რაიც შეადგენდა 15,000 მანეთს (და არა 3,000), ოღონდ დანარჩენი 50 ათასი მანეთი დაებრუნებინა სოფლისთვის, მაგრამ კონტრაგენტმა არ ისურვა. თუმცა ბევრს ეცადა იგი და დიდი დახმარებაც გაუწიეს მისმა მეგობრებმა, მაგრამ სიმართლემ თავი იძინა და საგლეხო საკრებულომ მისი რწმუნების ქაღალდი უკანონოდ იცნო 12) თ-დს ჯორჯაძეს სთხოვეს სოფლის წარმომადგენლებმა რწმუნების ქაღალდი დაგვიბრუნე, ნუ გვაწვალებო. მან უარი შემოუთვალა და პეტროგრადს მიაშურა, რათა ტყე გაეყიდნა და ნაწილი ფულისა თვითონ აეღო. დაწვრილებით ამ საქმეს სიღნაღის გამომძიებელი გამოარკვევს და ყველაც გაიგებს, რაშიაც არის საქმე. საქობოს „მამულის" ისტორიას მრავალნი პატივცემულნი პირნი არიან გაცნობილი, რომელთა სახელის ჩამოთვლა ბევრს დროს წაგვართმევს. მათ კარგად უწყიან თუ მე რამდენად ვარ დაინტერესებული ჩემის საკუთარ ჯიბისთვის, ან თუ რამდენად ჩავშალე „კეთილი საქმე".

დასასრულ უნდა მოვახსენო ბ. ა—ლის რომ საქობოელები ტყეს აღარ ჰყიდიან. მათ კარგად გაიგეს მისი ფასი. დღეს მათთვის დესეტინა ღირს 1000 მანეთი და არა 2200 მანეთი, როგორც თ-დი ჯორჯაძე ჰყიდდა, საიდანაც ნახევრამდე თვით იღებდა სადალალოს ანუ საკომისიონეროს. საქობოელებს თვით უნდა გაიყონ და ორი-სამის წლის განმავლობაში ბანკში მთელი ვალი მოიშორონ. ამის გამო სოფელმა სათანადო განკარგულება უკვე დაადგინა. ამით ვათავებ წერილს და თუ საჭირო იქნება სხვა დროს დავუბრუნდები ამ ფრიად საინტერესო საკითხის გამორკვევას.

კოტე ტყავაძე.

## შემოწირულობა

ვაჟა-ფშაველას ოჯახისთვის—შეგროვილი სოფ. წალვერში 31 ივლისს (პანაშვიდის შემდეგ)

შემომწირველთა სია.

**სამ-სამი მანეთი:** ზ. გველესიანი, მ. თაქთაქიშვილი და დ. ჯაფარიძე.

**ორ-ორი მანეთი:** მიხ. მურვანიშვილი, მახვილაძე, გ. ხოშტარია და სტ. თიროევი.

**თითო მანეთი:** გ. ჟორდანია, ადგილობრივი მღვდელი, გ. გაბისონია, აგრაფ. აბაშიძე, ანნა მაჭუტაძე, მ. ბარათაშვილი, ნანეიშვილი, არეშიძე, ალ. გუნია, ქიქოძე, სტურუა, მგელაძე, №, კობახიძე-პაპუაშვილი, სვ. ქვარიანი, დგებუაძე, ქსენია კასრაძე, გ. მხეიძე, ფალავა, ბაბო ჰელიძე, სონა ჯაფარიძე, სურგულაძე, მესხი მიქელაძე, ნ. ჰეიშვილი, ვ. გიგინეიშვილი, ნ. ჩუბინიძე, სანგანიძე, ევგ. გველესიანი, ალ. ბერიძე, რომანიშვილი, ს. ძახელაძე, ან. ნაკაშიძე, გრიგოლია, მიშელი, ან. მგელაძისა, მ. და ვ. ბარნაბიშვილები, ნინო მგელაძე, კნ. ეკ. წერეთელი, ან. ბერგერი, ალ. წუწუნავა, მარიჯან.

80 კ.—ნ. კორინთელისა.

50 კ.—მეტრეველი, ავალიანი, გველესიანი, ს, კასრაძე, კ. ჰუბაბრია და აბეს. ბუკია.

20 კ.—№. სულ 63 მან.

დაიხარჯა სანთლები პანაშვიდზე 1 მ. სამგლოვიარო დეპეშა 2—47. სულ 3—47 წმინდა შემოსავალი 59—53 კ. გადაეცა „საქართველოს" რედაქციას.

გ. ჟორდანია.

---

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ აკაკის სახელობის ხალხურ სიტყვიერების ფონდისათვის მიიღო:

მაისის 20-ს კონსტანტინე კაჭახიძისაგან ქუთაისში მოკრეფილი ფული 100 მ. (შემომწირველების სია: კ. კაჭახიძე, ვლ. ჩოჩია, ქს. ივარდავას ასული, მელქ. გვინჩიძე, ს. აბულაძე, პლ. ბერძენი, ნ. კურცხალია, ვლ. შავგულიძე, ივ. რობაქიძე, დ. ლომიძე, პ. სათანაიანცი, ილ. ჰელიძე, სტ. კაჩხოევი, ალ. ივანოვი, მ. ხარაზოვის ასული, ვ. ბერძენის ასული, გრ. გეგეჭკორი, ევგ. იოსელიანი, პრ. კილაძე, ტრ. მიქაბერიძე, მ. მეძმარიაშვილის ასული, ი. კოსტავა, ონ. ვარდოსანიძე, ივ. ისაევი, ივ. ნაცვლიშვილი, ილ. წულუკიძე, ი. ჩიხლაძე, წად. აბულაძეს ასული, ვ. წერეთლის ასული, ვლ. ჩულუხაძე, ი. ჟორჟოლიანი, გრ. ბერძნიშვილი, ერ. ბაბად-ოღლი, ან. ლუკიანენკოს ასული, ივ. იოსელიანი, ვლ. ჯიჯალავა, ილია ხოხიაშვილი, გრ. გამრეკელი, პ. ოკრეშიძე, ალ. კატარმასოვსკი, პლ. ლოსაბერიძე, ს. კილაძე, ლ. ფხაკაძე, ვლ. ყიფიანი, გ. კრინგაჩევი, ივ. ჩიხლაძე, მ. მახარაძე, იოს. კაჭახიძე, ის. დოლიძე, ს. დოლიძე, ივ. დოლიძე, იას. მგალობლიშვილი, ივ. ვარდანაშვილი, (იუსტ. მხეიძე და №№).

თიბათვეში: 1) ქართვ. შ. წ.-კ, გამ. საზოგადოების სენაკის განყოფილებისაგან აკაკის საღამოს შემოსავალი 30 მან. 2) ქუთაისის ქართულ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისაგან აკაკის საღამოს შემოსავალი 127 მან. 50კ., 3) ივ. რატიშვილისაგან 20 მან. (აქედან 10 მან. აკაკის ძეგლისაა), 4) წ-კ. საზოგადოების განყოფილებისაგან აკაკის საღამოს შემოსავალი 20 მან., 5) წ.-კ. საზოგადოების ზესტაფონის განყოფილებისაგან აკაკის საღამოს შემოსავალი 25 მან., 6) ყვირილის საკრედიტო ამხანაგობისაგან 40 მან.

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ხაზინადარი

ირ. სონღულაშვილი.

---

რედაქტორ-გამომცემელი

**სანდრო შანშიაშვილი**

---

## კახეთი რკინის გზის მიმოსვლა

**(დრო ადგილობრივ საათით არის ნაჩვენები)**

თბილისიდან გადის: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით; უკან ბრუნდება: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**თბილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისიდან . . . | 8 ს. | 13 წ. | დილ. |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. . | 8 „ | 40 „ | „ |
| ნავთლუღ-კახეთ. . . | 8 „ | 58 „ | „ |
| ვაზიანიდან . . . | 10 „ | 06 „ | „ |
| ივრიდან . . . . | 21 „ | 15 „ | „ |
| საგარეჯოდან . . . | 11 „ | 58 „ | „ |
| ბადიაურიდან . . . | 12 „ | 56 „ | „ |
| მელაანიდან . . . | 2 ს. | 16 წ. | საღ. |
| გურჯაანიდან . . . | 2 „ | 37 „ | „ |
| კარდენახიდან . . . | 4 „ | 12 „ | „ |
| წნორის-წყალზე . . | 4 „ | 44 „ | „ |

**გურჯაანიდან-თელავამდე № 7.**

| | | | |
|---|---|---|---|
| გურჯაანიდან . . . | 3 ს. | 42 წ. | საღ. |
| ვაჩნაძიანიდან . . . | 4 „ | 33 „ | „ |
| თელავში . . . . | 5 „ | 27 „ | „ |

**თბილისისკენ მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| წნორის-წყლიდან . . | 8 ს. | 58 წ. | დილ. |
| კარდანახიდან . . . | 9 „ | 41 „ | „ |
| გურჯაანიდან . . . | 10 „ | 24 „ | „ |
| მელაანიდან . . . | 11 „ | 39 „ | „ |
| ბადიაურიდან . . . | 12 „ | 59 „ | დღ. |
| საგარეჯოდან . . . | 2 „ | 80 „ | „ |
| ივრიდან . . . | 2 „ | 50 „ | „ |
| ვაზიანიდან . . . | 3 „ | 55 „ | „ |
| ნავთლუღ-კახეთ. . . | 4 „ | 58 „ | „ |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. | 5 „ | 13 „ | „ |
| ბილისში , . . . | 5 „ | 28 „ | „ |

**თელავიდან-გურჯაანამდე № 8.**

| | | | |
|---|---|---|---|
| თელავიდან . . . | 8 ს. | 54 წ. | დილ. |
| ვაჩნაძიანიდან . . . | 2 „ | 58 „ | „ |
| გურჯაანში . . . | 10 „ | 07 „ | „ |

---

## ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა

**(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)**

**თბილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| № 3 | ბაქოდან . . . | 12 ს. | 54 წ. | დღ. |
| № 4 | ბათომიდან . . | 5 ს. | 55 წ. | საღ. |
| № 5 | ბაქოდან (სწრაფი) | 7 ს. | 41 წ. | საღ. |
| № 10 | ბათომიდან. . | 9 ს. | 51 წ. | დილ. |
| | ჯულფიდან . | 6 ს. | 53 წ. | დილ. |
| | ბორჯომიდან . | 7 ს. | 25 წ. | დილ. |
| | „ საგარ. | 10 ს. | 28 წ. | საღ. |

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| № 3 | ბათომისკენ . . | 1 ს. | 45 წ. | დღ. |
| № 4 | ბაქოსკენ . . | 7 ს. | 3 წ. | საღ. |
| № 6 | ბაქოს (სწრაფი) | 12 ს. | 8 წ. | დღ. |
| № 9 | ბათომისკენ . . | 8 ს. | 53 წ. | საღ. |
| | ჯულფისკენ . | 10 ს. | 23 წ. | საღ. |
| | ბორჯომისკენ | 3 ს. | 29 წ. | დღ. |

---


თევზის მრეწველნი

ძმ. ძიძიგურები

პუშკინის ქუჩა, საკუთ, სახ, № 9, ტელეფონი № 712.

განყოფილება ავლაბარში

კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7. ტელეფონი № 712.

ყოველდღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ, მაილოვის-შვით", სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „მეშოჩნი" ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო. გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოვლგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.